,,სსიპ –
ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტისფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორთა სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის
2024წლის 11მარტის N:: 59/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2024 წლის 15 აპრილის 48/2024** დადგენილებით დამტკიცებული კომისიის

ოქმი N3 (შემაჯამებელი, კორექტირებული)

ქ. თბილისი 19 ივნისი 2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: 1. პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი (კომისიის თავმჯდომარე) 2. ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოცირებული პროფესორი ელენე კვანჭილაშვილი (კომისიის მდივანი) 4. ასოცირებული პროფესორი გიორგი ყიფიანი; 5. ასოცირებული პროფესორი თამარ აბაშიძე; 6.ასოცირებული პროფესორი თამარ ქობულაძე (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საბაუნი); კომისიის წევრი პროფესორი რევაზ ჯორბენაძე სხდომას ვერ დაესწრო.

დღის წესრიგი:

1. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარება
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში, რექტორის 2024წლის **11 მარტის** N:: 59/01-01 ბრძანების საფუძველზე, ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება.
3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

1. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის მიზნით ჩატარდა კენჭისყრა.
2. კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ანასტასია ქიტიაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა წინასწარ მომზადებული ბიულეტენები ხელმოსაწერად. ბიულეტენების რაოდენობა - 6. მან კომისიის წევრებს წარუდგინა ყუთი, რომელიც კომისიის წევრების წინაშე გაიხსნა. წევრები დარწმუნდნენ, რომ ყუთი ცარიელი იყო. კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრების წინაშე ქაღალდის საშუალებით დალუქა ყუთი, რომელიც დამოწმდა კომისიის წევრების ხელმოწერებით. კომისიის წევრებს დაურიგდათ კომისიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი ბიულეტენები, სულ 6 ბიულეტენი, ხმის მისაცემად. კომისიის 1 წევრი (რევაზ ჯორბენაძე0 არ ესწრებოდა სხდომას, შესაბამისად 1 ბიულეტენი დარჩა გამოუყენებელი.კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიამ აირჩია ხმის დამთვლელი ჯგუფი: ასოცირებული პროფესორი თამარ აბაშიძე და ასოცირებული პროფესორი გიორგი

ყიფიანი. გამოყენებული ბიულეტენია - 6, გაფუჭებული -0. კენჭისყრის შედეგების დათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტზე ასისტენ-პროფესორის თანამდებობაზე თამარ გველესიანის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე არის - კომისიის 4 წევრი, წინააღმდეგი - 2 წევრი. გამოცხადებულ ასისტენტ-პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე თინათინ ბანძელაძის კანდიდატურის ფარული კენჭისყრის შედეგები ასე განაწილდა: 2 - მომხრე, 4 - წინააღმდეგი.

3. კომისიის მიერ გაანალიზდა და შეჯერდა კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის 1 საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა- თინათინ ბანძელაძემ და თამარ გველესიანმა.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან მიღება-ჩაბარების აქტით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ პირველ ეტაპზე კომისიის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

შეფასების პირველ ეტაპზე, თამარ გველესიანმა I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) მიიღო მაღალი შეფასება.

თამარ გველესიანი თსუ-ში ასწავლის 2018 წლიდან დღემდე როგორც მოწვეული ლექტორი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში. მას ასევე აქვს სხვა უნივერსიტეტებში სწავლების გამოცდილება. ამავდროულად ის 2018-2024 წლებში ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტში (NDI) იკავებდა მონიტორინგისა და შეფასების ოფიცრის თანამდებობას, ხოლო 2017-2018 წლებში იყო კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მკვლევარი. 6 წელზე ნაკლები პედაგოგიური სტაჟის კვალდაკვალ, მის მიერ წაკითხული ლექციები და სემინარები მოიცავს შემდეგ საგნებს:

1) სოციალური ფსიქოლოგია 1;
2) სოციალური ფსიქოლოგია 2;
3) არავერბალური კომუნიკაცია;
4) ცრურწმენები, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია;
5) ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 1;
6) ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 2;
7) თვისებრივი კვლევის მეთოდები (მაგისტრატურა);
8) ცრურწმენები, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია (მაგისტრატურა);
9) თანამედროვე სოციალური პრობლემების სოციალურ ფსიქოლოგიური კონტექსტი (მაგისტრატურა);
10) სოციალური ინტერვენციებისა და პროექტების შეფასება (მაგისტრატურა);
11) ცრურწმენები და სტიგმა

თამარ გველესიანის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებში და გასაუბრების ეტაპზე გამოვლენილ კვლევით ინტერესებში მკაფიოდ იკვეთება აკადემიურ სტრესთან და

მასწავლებელთა თვით-ეფექტურობასთან დაკავშირებული ასპექტები. მისი დისერტაციის თემაა „მასწავლებელთა მოტივაციის, თვითეფექტურობისა და სოციალური იდენტობის ურთიერთმიმართება (ეიზენის „დაგეგმილი მოქმედების თეორიის" პერსპექტივიდან)".

შეფასების პირველ ეტაპზე, თინათინ ბანძელაძემ I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) მიიღო მაღალი შეფასება.

თინათინ ბანძელაძე თსუ-ში ასწავლის2017 წლიდან დღემდე როგორც მოწვეული ლექტორი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში. მას ასევე აქვს სხვა უნივერსიტეტებში სწავლების გამოცდილება.ამავდროულად ის 2023 წლიდან დღემდე CRRC-საქართველოს უფროსი მკვლევარია. 6 წელზე მეტი პედაგოგიური სტაჟის კვალდაკვალ, მის მიერ წაკითხული ლექციები და სემინარები ითვლის შემდეგ საგნებს:

1. ფსიქოლოგიის საფუძვლები;
2. კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში;
3. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია;
4. ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები;
5. მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საფუძველზე;
6. მოზარდთა განვითარება: თეორია და კვლევა
7. საგამოძიებო ფსიქოლოგიის საფუძვლები
8. ფსიქოლოგიის როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში
9. კოგნიტური ფსიქოლოგიის საფუძვლები;
10. ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები;
11. კომუნიკაციის ფსიქოლოგია;
12. ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები

თინათინ ბანძელაძის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებში და გასაუბრების ეტაპზე გამოვლენილ კვლევით ინტერესებში მკაფიოდ იკვეთება პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები. მისი დისერტაციის თემაა „პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობის ფსიქოსოციალური ფაქტორები ქართველ მოზარდებში".

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა კანდიდატები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- პედაგოგიური და პროფესიული უნარები
- გადმოცემისა და მეტყველების კულტურა
- პედაგოგიური და კვლევითი გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროფილთან

მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობა:

კომისია შეჯერდა, რომ კონკურსის შედეგები მართლზომიერია.

ვაკანსია გამოცხადებული იყო სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტში სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებაზე. გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა ორივე კანდიდატის

პროფესიონალიზმი, პედაგოგიური და პროფესიული უნარები, გადმოცემისა და მეტყველების კულტურა, თუმცა

თამარ გველესიანის გამოცდილება უფრო შეესაბამებოდა სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებას, რაც გასაუბრებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო და მას ამ სფეროში უფრო ფართო გამოცდილება ჰქონდა, ხოლო თინათინ ბანძელაძის გამოცდილება უკავშირდებოდა სოციალურ ფსიქოლოგიას, თუმცა უფრო შეესაბამებოდა ბავშვთა და პიროვნების ფსიქოლოგიასა და იურიდიულ ფსიქოლოგიას; მას ჰქონდა უფრო ვიწრო გამოცდილება სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით.

თამარ გველესიანმა გამოავლინა სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობის ფართო გამოცდილება, რაც ფაკულტეტს შესაძლებლობას მისცემს ეფექტურად გამოიყენოს მისი რესურსი როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე. დამატებით, თამარი არის სამაგისტრო ნაშრომების თანახელმძღვანელი და „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამისა და ფაკულტეტის სხვა სტუდენტებს უწყობს ხელს პრაქტიკის ადგილების უზრუნველყოფაში (როგორც დამსაქმებელი), ისევე როგორც ხელმძღვანელობს მათ.

ერთხმად დაადგინეს:

1. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს თამარ გველესიანი

3. შესარჩევის კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ ვებ–გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის წევრთა ხელმოწერები

1. **ქიტიაშვილი ანასტასია**, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი; (თავმჯდომარე)

2. **ეკატერინე ფირცხალავა;** ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;(თავმჯდომარის მოადგილე);

3. **ელენე კვანჭილაშვილი;**ასოცირებული პროფესორი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი(მდივანი);

4. **თამარ აბაშიძე;** ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

5. **თამარ ქობულაძე,** ასოცირებული პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

6. **გიორგი ყიფიანი,** ასოცირებული პროფესორი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;